# სახალხო გაზეთი

№ 1177 პარასკევი, 2 მაისი 1914 წ. № 1177

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძილაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.

ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ. ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ქრისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190


ეფემია სპირიდონის ასული, ანნა აბელის ასული შვილითურთ მურვანიძეები, ნატალია (ირინა) ქობულაძე და დიმიტრი ივანეს ძე მურვანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელი შვილისა, მეორე—ქმრისა, მესამე—ძმისა და მეოთხე—ძმისწულის

**იულიონ (ილიკო) დავითის ძის მურვანიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 2 მაისს, ხ. ოქითში. 308


ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში

## ტფილ. ქართველ ქალთა საზოგადოება

4 მაისს, დილით 1 საათზე მმართავს

## ლ ე ქ ც ი ა ს

ქართ. ენაზე ქ-ნ ქრისტინე (ქეტო) შარაშიძისა წაიკ. შემდეგ თემაზე:

„ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“,

1. მე-18 საუკუნის მიწურულის და მე-19-ის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. 2) იდეალური დედაკაცი ქალი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. 3. ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, გმირი, როგორც ხალხის სულის საუკეთესო თვისებათა მატარებელი. 4. ძველი დედების გაიდეალება ი. ჭავჭავაძის და აკაკის ნაწარმოებში. 5. ახალი დროის სიო და ახალი ქალის ტიპის შექმნის ცდა ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. 6. ქართველი ინტელიგენტი ქალის „ტიპი“ შიო არაგვისპირელის მოთხრობაში „ჩემი საწყალი ჩემი გული“. ქართველი ქალი ქართული პრესის სამსჯავროს წინაში. 8. დასკვნა. ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში და „სახალხო გაზეთის“ კანტორაში. ფასები 5 კ. 1 მ. 1178



## დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

პარასკევს, 2 მაისს, დანიშნულია

## მასხარების საღამო



ყველა მასხარების და კალამბურის მოამბეთა, რიჟების ოხუნჯების და სხვათა მონაწილეობით. დღეს დღიურ პროგრამის მუსიკალური ექსცენტრიკოსები ბ.ბ. როზეტები აცინებენ საზოგადოებას ოხუნჯობით. დღეს მხიარულ გუნების შემქმნელი ბუფ-რიჟა ბ-ნი შიტსონი საზოგადოებაში კომიკურ ხარხარს გამოიწვევს. დღეს ტფილისში პირველად გაიმართება დიდი ბალი პანსიონატი. ბოლოს შესრულებს დაჯილდოვებული ნაზუთ-უნატავი ცხენე იუპატოვისა. დღეს მონაწილეობას მიიღებენ „ჰაერის კაცები“ ჯამბაზ როსსინის ოჯახობა, დამსახურებული ჟონგლერები ბ.ბ. კანკოვსკები. დეპეშა: მოდის მსოფლიოდ ცნობილი უბადლო ვინმე.

ანონსი: კვირას, 4 მაისს, დანიშნულია ორი სადღესასწაულო წარმოდგენა, დღისით დაკლებულის ფასებით ბავშვებისა და მოწაფეთათვის. დღისით ბავშვებს ნავებით აქანავებენ უფასოდ.

ცირკის დირექტორი ფ. ა. იუპატოვი. გამგე ლ. მ. ხუნდაძე.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. 303



## დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

# ი. გრიშაშვილი

წიგნში შეტანილია ავტორის დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.

ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი იყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღის შესახვ. № 5. 1141



## სანატორიუმი „რუსული დავოსი“,

აბასთუმანში.

ტუბერკულოზისა, სასუნთქ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ავადმყოფებისათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეგრაბიანცს, 4 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1278 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—62. 1087



## კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი

პროვინციის კომისიების თხოვნის თანახმად,

ბანკის მთავარი საორგანიზაციო

## კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ

ბანკის აქციებზე ხელის მოწერა გაგრძელდება

როგორც ტფილისში, ისე კავკასიის ყველა ქალაქებში

კიდევ შვიდ (7) მაისამდე: 2, 3, 4, 5 და 7 მაისს

ხელის მოწერა დახურულ იქნება ხუთშაბათს, შუადღის 2 საათზე, ამიტომ ვისაც სურს აქციის შეძენა, ფული უნდა შემოიტანოს დანიშნულ დრომდის.

თითო აქცია ღირს 250 მან. ახლა არის შემოსატანი თითო აქციაზე 26 მან., მეორე ნაწილი თითო აქციაზე 100 მან. უნდა შემოტანილ იქმნას ოქტომბერში, დანარჩენი ფული კი ბანკის გახსნის შემდეგ 6 თვის განმავლობაში.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ., სახლი სარაჯიშვილისა); ბაქოში—მურტუზა-აღა მუხტაროვის კანტორაში და ნ. ი. ჯაყელის კანტორაში; ერევანში—დ. ზ. სარაჯიშვილის კანტორაში; თელავში—საზოგ. „კახეთისა“ კანტორაში, ქუთაისში, კავკავში, სოხუმში და სხვა ქალაქებში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკებში.

ფული ფოსტით შეიძლება გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ, Сельск. Банкъ председателю правленія Димитрію Эрастовичу Кн. Челокаеву.

1187 კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის კომიტეტი.



## ტფილისის კერძო სამკურნალო

ჭავჭავაძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. |
| | მაღალაშვილი გ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. |
| | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1 ს. |
| | ფიდოროვი ი. გ. ყოველ დღე, 11—12. |
| | კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოზოვი გ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |
| | მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. |
| | ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მეგრაბიანც-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. |
| | თიკანაძე ი. ი. ყოველ დღე 1—2. |
| | მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. |
| | ფიდოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2. |
| | კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ჭლექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. |
| | ფონდოვი გ. ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირის. | ათინიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. სნ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რიგვისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი სასყიდლით. 1070



## გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე გ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი გ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინაშვილი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა. წამლობა „606“, „914“. 1088



## ახალი კლუბი

(საზამთრო თეატრი).

## სალხინო საღამო

შაბათს, 3 მაისს, გაიმართება კონცერტი დიდი სიმფონიური ორკესტრისა 60 კაცისაგან შემდგარი, ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

დასაწყ. საღ. 9 ს. ადგილ. ფასი: პარტერ. 50—10 კ., გალერ. 30—15 კ. კლუბში შესვ. სტუმ. იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტ. 25 კ. 1155



## ვაგზლის სამკურნალოში

(მიხაილოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—$11^{1}/_{2}$ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^{1}/_{2}$ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“ და „606“. 1023



ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყურლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.



## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078



## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084



ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფობებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. უფასოდ. ბებუთოვის ქ., 23. ტელეფ. № 7—62. 1516



**ექიმი შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16



**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011



ქ. გორში (დოკტორანტი).

**ექიმი გ. დ. წინამძღვარიშვილი** ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტ. და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050



**ექიმი გ. ნ. მამაკაიანცი** გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053



**ექიმი ს. გ. მამრაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალთა და სამშობ. სნეულებანი).

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფ. ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.



**ექიმი გ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.



**ექიმი ნიკოლოზ სვიმონის ძე ხუჩინოვი** (ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი—დედათა და მშობიარეთა სნეულებისა) დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება მამა მისის ბინაზე, აფთიაქის ქუჩაზე. 1177



**ექიმი** ქალებისა **ნინო რცხილაძე.** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

მწუხარებით გულ მოკლულნი, ივანე საველის ძე მანველოვი, სოფიო საველის ასული და პოდპოლკოვნიკი გიორგი იოსების ძე შავგულიძე და პეტრე იაგორის ძე ხანჯალაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 29 აპრილს გარდიცვალა პირველთა დედა ხოლო უკანასკნელთა საყვარელი და დაუვიწყარი სიდედრი

**ეკატერინე** იაგორის ასული **მანველოვისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე; მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარის ბინიდან (მუშტაიდის შესახვევი № 11) თანდოევის ღვთის მშობლის ეკლესიაში მიხეილის პროსპექტზე დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. 309.

# ტფილისი, 2 მაისი

**სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება.** ფრიად საყურადღებო საკითხი აღძრა ბ-ნმა სეგალმა გაზეთ „კავკაზ“-ში. იგი ეხება იმ საკითხს, რომელიც დიდიხანია მსჯელობის საგნად არის გადაქცეული ადგილობრივ პრესაში. ეს საკითხია ადგილობრივი პირველ-დაწყებითი სკოლების შეუფერებლობა მცხოვრებთა საჭიროებებთან. საინტერესოა ეს მით უფრო, რომ ამ ჟამად ადგილობრივ სახალხო სკოლას კრიტიკის თვალსაზრისით უცქერის თვით ოფიციოზი, რომელსაც პოლიტიკურ არასაიმედობას ვერავინ დასწამებს. მთელი ამიერ-კავკასია საზოგადოდ და საქართველო კერძოდ განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. მიუხედავად ამისა, არსად არ არის ისე ცუდად დაყენებული მეურნეობის საქმე, როგორც ჩვენს ქვეყანაში. ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოველთვის განსაკუთრებულის მზრუნველობით ეკიდებოდა კლასიკურ განათლებას, თითქოს მთელი საქართველო მოხელეებად გადაქცევას აპირებდეს. თავ-მინებებულია ჩვენი მდიდარი ბუნება, მდიდარი მიწა-წყალი რომელიც შემოსავლის დაუშრეტელ წყაროდ შეიძლება გადაიქცეს, მისი მოვლა და რაციონალური მოხმარება რომ ვიცოდეთ. მაგრამ ყველაფერს ადგილობრივ ადმინისტრაციას ვერ გადავაბრალებთ. თვით ქართველ მშობლებსაც დიდი ბრალი მიუძღვით. მათთვის 25 მანეთიანი მოხელის ადგილი უფრო ძვირფასია, ვიდრე ის სიკეთე, რომელიც შეუძლიან მოუტანოს მამულს, თუ მოუარა და რაციონალურად მოაწყო. თანდათან გარემოება იცვლება. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლები თანდათან ინტენსიურ მეურნეობასა ჰკიდებენ ხელს, მაგრამ წინ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება. პირველი და უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია სპეციალური ცოდნის გამავრცელებელ დაწესებულებათა უქონლობა. საერობო თვითმმართველობა აქაც დიდს დახმარებას გაუწევდა ხალხს, მაგრამ ჯერ მის შემოღებაზე არავინ ფიქრობს, თუმცა ყველა, დაწყებული მეფის მოადგილიდან, აცხადებს, ამიერ-კავკასია დიდი ხანია მომწიფდა საერობო თვითმმართველობისთვისაო.

ამისთანა პირობებში რეორგანიზაცია სახალხო სკოლებისა ძალიან სასარგებლო საქმე იქნებოდა. თვით ბ. სეგალს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა ადგილობრივ მცხოვრებლებს მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ორ-კლასიან სკოლასთან დროზე იზრუნეს მეაბრეშუმეობის კრიზისის თავიდან ასაცილებლად. სოფლის სკოლებში სამეურნეო განყოფილების დაარსება, პრაქტიკული მუშაობა სოფლის მომავალ მეურნეებს მისცემდა სამეურნეო ცოდნის იმ მინიმუმს მაინც, რომელიც აუცილებლად საჭიროა სამეურნეო კულტურის პროგრესისთვის.

დღევანდელი სახალხო სკოლა სრულიად შეუფერებელია ჩვენებური სოფლისთვის. იგი არ იძლევა ცხოვრებისთვის გამოსადეგ ცოდნას და ამიტომ მცხოვრებლებიც ისე უცქერიან სკოლას, როგორც აუცილებლობას, რომელსაც მხოლოდ ძალაუნებურად უნდა დაემორჩილო. ასე არ იქნებოდა მაშინ, სკოლას რომ ბავშვებისთვის გამოსადეგი ცოდნა მიეცა და პრაქტიკულად მოემზადებინა ცხოვრებისთვის.

მართალია, ჩვენში არსებობენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, მაგრამ ისინი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მომწიფებულ საჭიროებას. სახალხო სკოლის რეორგანიზაცია, მისი პროგრამის გაფართოვება და პარალელური სასოფლო-სამეურნეო კურსების გახსნა დიდს სარგებლობას მოუტანდა ხალხს და სასოფლო სკოლასაც, დღეს გარიყულსა და ზედ-მეტ ბარგად მიჩნეულს, მიმზიდველად გაჰხდიდა.

# ქართული პრესა

თ. ღლონტი **„ჩვენს ერში“** ეხება **რვა მუშის** წერილს (რომლის გამო დასელთა გაზეთებში კამათი ჯერაც არ გათავებულა) და ამბობს:

ფრიად სიმპტომატიურია რვა მუშის წერილი საკუთარი გაზეთის დაარსების შესახებ. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ხსენებულ მუშების მოსაზრებანი ჩვენმა პრესამ თითქმის ერთხმად უარყო და მზადაც არიან იგი მუშები ჯვარზედაც გააკრან „თავხედობისათვის“. მაგრამ საკმაოა საგანს მეტის ყურადღებით მოეკიდოთ, რომ მუშათა სურვილი ფრიად კანონიერად იცნოთ. უეჭველია, არავინ ისეთი ბრიყვი არაა, რომ სთქვას: გაზეთებში უვიცებმა სწეროს. ან რომელ უვიცს ესურვება წერა? ან რომელი მუშა იტყვის რასმე იმაზე, რომ რედაქციებმა ესა თუ ის მასალა დაიწუნოს. აბსოლუტურად ყველა წერილს თვით მსწავლულებსაც არ უბეჭდავენ, რასაც ათასნაირი საპატიო მიზეზი აქვს. და განა რვა მუშამ პროფესიანალ მწერლებად წარმოადგინეს თავიანთი არსებანი? სრულიადაც არა! მუშათა მასა დღეს თავის **ძლიერებას** გრძნობს და იგი მსჯელობას მოითხოვს. 1905 წელში ჩვენ ვხედავდით მონა-მორჩილ მუშებს, დღეს იგი მუშა კალამს იღებს ხელში და აზროვნებაში იწვრთნება. მუშამ კარგათ უწყის, რომ წარმოების ყოველ დარგში შრომის განაწილებაა და ეგ განაწილება ძალისა რამდენადაც საზრიანად ხდება, იმდენადვე იგი სასურველია და პროგრესიულია. მაგრამ თანამედროვე კაპიტალისტურ ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჩვენში პირდაპირ იეზუიტობა იქნება შრომის განაწილებაზე მითითებით მწარმოებელ მუშას უარი მოვახსენოთ საზოგადოებრივ აზროვნობაში გაზეთში მონაწილეობის მიღებაზე. ქართული პრესა ანგარიშს უნდა უწევდეს მუშათა კლასის მდგომარეობას ჩვენში და აქედან განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობოდეს მუშათა მოსაზრებას, მუშათა წერილებს.

„აზრი“-ს რედაქციას და აგრეთვე „ფიქრი“-სას მძიმე ლოდად დასწოლია გულზე ხსენებულ რვა მუშის წერილი. ეს გარემოება ფრიად ბუნებრივია, რადგან დასელების რედაქციებში კვლავ ის ძველი პირები სხედან, რომელნიც მხოლოდ გენერალობას იყვნენ მიჩვეულნი. დასელთა პრესაში ახალგაზდა პუბლიცისტებს ველარ ვხედავთ, ახალი მოტივებით გამსჭვალულნი არსებანი მათ წრეში აღარ იმყოფებიან, რომ ახალ ვითარების გამომხატველი იყვნენ. მუშათა მასსა კი ერთიანად შეიცვალა, დღეს მოძრაობის გამომჭედი ახალი ხალხია, ახალი მუშათა რიგი, სრულიად ახალ იდეებით გამსჭვალულნი, რომელნიც გენერლობის სიმწვავეს ვერ იტანენ. ამავე დროს ძველ დასელთა აზროვნება დაკნინდა, დაუძლურდა, მათი პრესა სრულიადაც აღარ მოწმობს სიძლიერეს პროფესიონალ მწერლისას, დასელი მწერლისებრ თვით უბრალო მუშაც კი აზროვნობს და განა ასეთს პირობებში მუშის საპრესო პრეტენზიები ადვილი ასახსნელი არ არის? და თუ დასელთა პრესას აგრე სისტემატიურად მისდით მუშათა საყვედურები, ცხადია დანიის სამეფოში საქმე რიგზე არ უნდა გახლდეს“.

* * *

გაზ. **„აზრში“** მეტად მოუფიქრებელი წერილია დასტამბული ვინმე ფარიანის. ავტორი სწერს პ. გელეიშვილის ლექციაზე მომხდარ ინციდენტის გამო.

„ამგვარად საერთოთ დემოკრატია და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატია გამოწვეულია ისტორიულ დუელში, ჩვენც მზათა ვართ, მხოლოდ ჩვენ იმაშიც მზათა ვართ, რომ კარგად მიუდგეთ მტერს კარგად შევისწავლოთ მისი სული და გული, მისი იარაღი—ციხე-სიმაგრე, მოვკრიბოთ მეტი მასალა, შევადგინოთ საზოგადო აზრი და სხვა. ჩვენ იმაშიც მზათა ვართ, რომ გამარჯვებულმა დარბაისლურად დავიჭიროთ თავი, ლმობიერი მასწავლებლის პოზიცია დავიკავოთ მათ მიმართ, მაგრამ თუ ჩვენი ასეთი მოქცევა მათ ბრიყვულ წინააღმდეგობას სულს ჩაუდგამს—გაამხნევებს, მაშინ მოთმინების ფიალაც აივსება და ამ ისტორიულ დუელში გამოწვევისა და შედეგისათვის თითონ აგონ პასუხი, რადგანაც ველური საშუალების ჩვენ ხალხში გამოტანისათვის თითონ არიან მიზეზი. მაშინ ძალთა შეტაკება გასწმენდს ველურ თავხედობას, მხოლოთ ვაი მათ, ვინც ამ ომს იწვევს ძმათა შორის. გავათავეთ. თქვით“.

ნუ თუ იმდენად დავეცით, იმდენად დავივიწყეთ ყველაფერი, რომ ჩვენი პრესა ქართველს ხალხს ძმათა ომისთვის უნდა იწვევდეს? გონს მოდით!

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

**30 აპრილის სხდომა.**

**გარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის საზოგადო განხილვა გრძელდება.

**სვეჟინსკი.** კოლო, როგორც წინად, ეხლაც წინააღმდეგია, რომ სათათბირო შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის მუხლობრივ განხილვაზედ გადავიდეს, რადგან მთავრობის პოლიტიკა პოლონელთა დამონებისაკენ არის მიმართული. მთავრობამ უნდა კარგად შეიგნოს, თუ როგორ ექცევა ის პოლონელ ხალხსაო.

**ალექსანდროვი.** მთავრობის დამოკიდებულებას სათათბიროსთან შეიძლება ვუწოდოთ თანდათანობითი შიმშილით მკვლელობა. 17 ოქტომბრის არც ერთი მნიშვნელოვანი დაპირება აქამდის არ აუსრულებიათ. რუსეთის ხსნა შეიძლება მხოლოდ მით, რომ ყველა დაპირებული აასრულონ და ცხოვრებაში გაატარონ.

**კალუგინი** იხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ციფრებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ შინაგან საქმეთა უწყება მხოლოდ პოლიციის სამინისტროა. უწყება ახალი წყობილების წინააღმდეგ იბრძვის. სამინისტროს, რომელმაც ხალხის წარმომადგენლებზედ ხელი გამოილო, კანონი და სახელმწიფოს ახალი წყობილება დაარღვია, ოპოზიცია არც ერთს კაპიკს არ მისცემს. (ტაში მარცხნივ, ხმაურობა მარჯვნივ).

**გრაფი პუტკამერი.** დასავლეთ გუბერნიების პოლონელი წარმომადგენლები პროტესტს უცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის პოლონელ ხალხის მიმართ, ეს პოლიტიკა საზარალოა, როგორც პოლონეთის ხალხის კეთილდღეობისთვის, ასე მთლად რუსეთის სიკეთისთვის და ვალდებულნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცენ ხმა (ტაში მარცხნივ).

**საღამოს სხდომა.**

**როძიანკო თავმჯდომარეობს.** ირჩევა შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი წყალისაგან დაზარალებულთა დახმარების თაობაზე. შეკითხვა ერთხმად მიიღეს. განსახილველია სახალხო განათლების მინისტრის ახსნა იმ შეკითხვაზე, რომელიც ეხება დაწყებით სკოლებში მასწავლებელთა განწესებას. სათათბირომ დაადგინა, მთავრობის წარმომადგენელთა განმარტების განხილვა გადასდოს.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო

**30 აპრილის სხდომა.**

საბჭო **გოლუბევის თავმჯდომარეობით** განაგრძობს ხალხის სიფხიზლის მზრუნველობის კანონ-პროექტის განხილვას. [illegible] ვერ წელს ამ სამზრუნველოსთვის [illegible] უნდა გადასდონ 20 მილიონი.

**გურკო** იცავს რაკოვიჩის შესწორებას, $4\frac{1}{2}$ მილიონი გადავდოთო.

განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარე **მარკოვი** იცავს კომისიის აზრს 20 მილიონი მიეცეს, მხოლოდ ორი წლის სესხადაო.

**თავმჯდომარე:** 20 მილიონი მივიღოთ, 10 მილიონი, როგორც ამას 20 წევრის განცხადება ამბობს, თუ $4\frac{1}{2}$ მილიონი?

ხმის უმეტესობით 20 მილიონი უარჰყვეს 63 ხმით წინააღმდეგ 57, 10 მილიონი მიიღეს 76 ხმით წინააღმდეგ 39. ამგვარად საბჭომ მიიღო 10 მილიონის კრედიტი სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოსთვის.

შემდეგი სხდომა 2 მაისს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **წმ. თამარ მეფის დღესასწაული.** გუშინ, 1 მაისს, დიდუბის ეკლესიამ, სადაც ასვენია წმ. თამარ მეფის ძვირფასი ხატი, დიდის ამბით გადაიხადა წმ. თამარის დღესასწაული. წინა დღითვე ეკლესიას აუარებელი ხალხი მიაწყდა და ლოცვის შემდეგ კიდევ დიდხანს დარჩა ეკლესიის გალავანში. იყვნენ ღამის მთეველნიც. შუაღამემდე არ შეწყვეტილა სხვადასხვა სიმღერა: „წაიყვანეს თამარ ქალი“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და სხვა. გუშინ, თვით დღესასწაულის დღეს, ეკლესიაში ქართული სამღვდელმთავრო წირვა იყო საქართველოს ეგზარხოსის ალექსის განკარგულებით, რომელმაც ამ დღისთვის დანიშნული სასინოდო კანტორის კრება სხვა დროისთვის გადასდო და წირვის შესასრულებლად ეკლესიაში გამოჰგზავნა გორის ეპისკოპოსი ანტონი. წირვა დაიწყო დილის 10 ს. მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი ქალაქის ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით. შუადღის 12 საათზე ყოვლად სამღვდელო ანტონიმ პარაკლისი გადაიხადა. წირვის დროს, „ზანიცადიზე“ დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ანტონიმ ხალხს მხურვალე სიტყვით მიმართა და საქართველოს ეგზარხოსის ალექსის სახელით (ეგზარხოსის დავალებით) მიულოცა ეს ბედნიერი დღე. როგორც წინა დღით, ლოცვაზე ისე გუშინ წირვასა და პარაკლისზე, გალობდა ფილარმონიულ საზოგადოების ხორო ზ. ჩხიკვაძის ლოტბარო-

# ხიზანთა ბედი

II.*)

ხიზნობა ჩვენი, ქართველების, მოგონილი კი არ არის. ამგვარი წესი ცოტაოდენ ცვლილებით სხვაგანაც არსებობდა და არსებობს კიდეც. ჩვენ მეზობლებში თუ რა წესები იყო, გამოკვლეული არ არის. რაც გამოიკვლია მთავრობამ, ის სავსებით შეესაბამება ჩვენებურ ხიზნობას. ოსები ხიზანს ეძახიან „სული“, თათრები — „გიალმა“, „იჯარადარი“, სომხები—„ეამანაკ-კენაცოგი“.

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ქრისტეს დაბადებამდის 5—6 საუკუნის წინ, გამრავლდა უმიწო ხალხი. ესენი მდიდრების მამულზე ესახლებოდნენ და მიწით სარგებლობისთვის ერთხელ დაწესებულ ღალას იხდიდნენ. მაგრამ საბერძნეთის ცხოვრება რაკი აირია ომიანობისა და შინაურ განხეთქილებისა გამო, მემამულეებმაც ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირეს და ეს თევზი იმათ მამულზე შეხიზნული საწყალი ხალხი იყო, რომელთაც გადასახადები იმდენად გაუდიდეს, რომ აყრა არჩიეს ან და დაიღუპნენ. საბერძნეთის ისტორიის საუკეთესო გამომკვლევი გერმანელი მეცნიერი ბელოხი გვიამბობს: —მდიდრებთან ბრძოლაში გლეხობა უღონო იყო; თავის თავზე მინაბრებული იგი აუცილებლივ უნდა დაღუპულიყო. ბევრი მეოჯახე თავის ნაამაგდარ მამულიდან გააგდეს, ზოგი მონობაში ჩაცვივდა ან გადიხვეწნენ მონობის თავიდან ასაცილებლად.—(საბერძნ. ისტ. ტ. II. 178 გვ.).

ძველი რომის სახელმწიფოშიაც გლეხთა მდგომარეობა აწეწილ-დაწეწილი იყო. იქაც, რაკი გლეხობას მიწები საკუთრებად ნაკლები ჰქონდა, იძულებული იყო მდიდარ მემამულის მიწაზე დასახლებულიყო, მიწით მფლობელობის ნიადაგზე მემამულესთან ურთიერთობას იჭერდა.

რომის სახელმწიფო პირველად ქალაქად დაარსდა, მერე თავის ბატონობა გააფართოვა, დაიჭირა მთელი იტალიის ეხლანდელი ნახევარ-კუნძული, აფრიკა, ესპანეთი, საბერძნეთი, მცირე აზია და ჩვენ ქვეყანასაც კი წაეპოტინა ქრისტეს წინ 64—62 წლებში. ამ დაპყრობილ ქვეყნებში რომის სახელმწიფო თავისს სასტიკ წესებს ამყარებდა. რომის მეომარს უკან ვაჭარი და მემამულე მისდევდა, რომელნიც კონებრივად იმორჩილებდნენ ქვეყანასა. ახალ ქვეყანას მდიდარ რომაელებს გაუნაწილებდნენ ხოლმე, ათასი და ათიათას დესეტინობით მიწებს ურიგებდნენ და რომის გავლენის დამყარებას ავალებდნენ.

ამ აუარებელ მიწებს თვითონ მდიდარი რომაელები ვერ დაამუშავებდნენ, ამიტომ გლეხობას აძლევდნენ იჯარით ან სხვა წესით. თავისუფალ მოიჯარადრეთა მდგომარეობა სხვა და სხვა მიზეზების გამო (ომიანობა, ჭირი, მოუსავლობა) უარესდებოდა, ისინი თანდათან ჰკარგავდნენ უფლებას თავისუფალ მოქმედებისას და კოლონებათა ხდებოდნენ. კოლონი ის გლეხია, რომელიც პირადათ თუმცა თავისუფალია, მიწასთან სამუდამოდ არის დაკავშირებული. მემამულეს კოლონის აყრის უფლება არა ჰქონდა, ვერც გადასახადს მოუმატებდა. მემამულე ქალაქში ცხოვრობდა, კოლონი სადღაც მივარდნილ კუთხეში, ერთმანეთს იშვიათადა ჰხვდებოდნენ.

ახალ ქვეყნების დაპყრობით აუარებელი მიწები ჰქონდათ საქალაქო თემობას, ეკლესიას, სახელმწიფოსა და მსხვილ მემამულეებს. დაუმუშავებელი მიწა რის მანქანისა, მეტი ღონე არ იყო, შეღავათიან პირობებში უნდა მიეცათ დასამუშავებლად გლეხებისთვის. აი ეს შედარებით შეღავათიანი პირობა იყო რომის ემფიტევზისი. რომში ემფიტევზისს მფლობელობის ისეთ წესს ეძახიან, როცა ვისიმე მიწაზე გლეხი საუკუნო მემკვიდრეობითი იჯარის წესითა ცხოვრობს, მიწა საშვილიშვილოდ იმის განკარგულებაშია და მემამულის სასარგებლოდ უცვლელ გადასახადს იხდის. რომში ესეთი წესი მფლობელობისა ძალიან გავრცელებული იყო. ემფიტევზისი გაირჩევა იჯარისაგან თავის მუდმივობითა და გლეხის ზრუნვით მიწის გაუმჯობესებისთვის. იჯარადარი მიწის გამორჩომას შესცქერის, მიწის გაუმჯობესებას არ დაგიდევს. საკუთრებისაგანაც გაირჩევა: გლეხ-ემფიტევტს თავის სასარგებლოდ მამულის გაყიდვის ნება არა აქვს, არც აოხრებისა. იხდიდა ხარკს, რომელსაც კანონი ერქვა. თუ 3 წლის განმავლობაში კანონს არ გადიხდიდა—მიწას სტოვებდა. თუ ემფიტევტი—გლეხი ამოწყდებოდა, მამულის პატრონი ჰფლობდა.

მეხუთე საუკუნეში რომის სახელმწიფო დაინგრა. ჯერ ორად გაიყო, აღმოსავლეთის ბიზანტიამ მე-15 საუკუნემდის იარსება, დასავლეთისა ეულ ხალხის ვესტ-გოთების, ლანგობარდებისა და ჰუნნების დაპყრობით გაითქვიფა.

დაპყრობილ რომის წესები იმდენად განვითარებული და გამორკვეული იყო, რომ დამპყრობლებმა სავსებით შეითვისეს. მიწის მფლობელობის წესიც დასავლეთ ევროპის ხალხმა რომიდან შეითვისა.

შუა საუკუნოებში ევროპაში რომის ემფიტევზისი ფეოდალიზმს შეერია. ემფიტევტური მფლობელობა არსებითად ძალიან უახლოვდება ფეოდალურ პირობითი ფლობას.

ფეოდალიზმი არის ურთიერთობა მემამულისა და გლეხის შორის, რის მიზეზიც მიწა არის. უმიწოდ ურთიერთობა შეუძლებელია. რომის ემფიტევზისშიაც ამგვარი ურთიერთობაა მემამულესა და გლეხის შორის. მაშ ემფიტევზისი და ფეოდალიზმი ერთი და იგივე ყოფილა. სრულებით არა. ემფიტევზისი მხოლოდ მიწის გამო ურთიერთობაა. რომის მემამულე გლეხს მხოლოდ გამორჩომასა სთხოვს, გადასახადს. ფეოდალი (შუა—საუკუნოების, 6—13 საუკუნისა ევროპაში და 11—18 საუკ. საქართველოში, მემამულე) გლეხს მიწის მფლობელობისთვის მხოლოდ ღალას კი არა სთხოვს, პირად სამსახურს, ჯარის კაცობას. ევროპა ამ ხანში მეტად დაქუცმაცებული იყო. ყველა მემამულე პატარა მეფე იყო, ამიტომ სჭირდებოდა ჯარი.

ყველა გლეხი მეომარი იყო, იმიტომ კი არა, რომ ამა თუ იმ ბატონის ქვეშევრდომი იყო, არამედ როგორც მის მამულით მოსარგებლე. გლეხი მეომრობდა და ჯილდოთ მიწას იღებდა დასამუშავებლათ და არა საკუთრებათ.

მე 15 საუკუნემდის ევროპაში და რუსეთში (საქართველოში ხომ მე 18-საუკუნეშიაც) სახელმწიფოებრივი ძალა, მეფის უფლება იმდენად შეზღუდვილი და ფრთა-მოკვეცილი იყო, რომ სამართალი და ბატონობა იმისი იყო, ვინც ძალასა გრძნობდა.

ძალას კი მსხვილი მემამულეები გრძნობდნენ, რომელთაც სუსტი მეფეებისაგან მინიჭებული ჰქონდათ ეგრედწოდებული იმმუნიტეტის უფლება. იმმუნიტეტი არის მემამულის სრული დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში მეფისგან.

მეფის მოხელეს ან მოსამართლეს ნება არა ჰქონდა ხარჯი გამოერთმია ან გაესამართლებინა რომელიმე მემამულის ყმა ან ხიზანი.

მეფეს საქმე მემამულესთან უნდა ჰქონოდა. იმმუნიტეტი არსებობდა ბიზანტიის სახელმწიფოში, ევროპაში და ჩვენში.

რაკი წინად ყველა შიშ ქვეშ იყო, სამართალი მემამულის წყალობა იყო და უზრუნველი ცხოვრება სანატრელი შეიქმნა, ყველა თავისუფალი კაცი მფარველს ეძებდა.

ჩვეულება იყო, ტყვეობიდან ძალით თუ ნებით დაბრუნებული გლეხი თავისუფლდებოდა. თავისუფალი იყო, მაგრამ ცარიელი თავისუფლება კუჭს ვერ გაუძღებდა იმ პირობებში, როცა მთელი მიწები მემამულისა იყო და უპატრონო მხოლოდ ხრიოკი და ჭაობიანი ადგილიღა რჩებოდა. თუნდაც დასახლებულიყო ამ უმადლო მიწაზე და მეურნეობა გაეჩაღებინა, ერთ მშვენიერ დღეს ქორივით წამოუქროლებდა ვინმე შეიარაღებული არამზადა, რომლებითაც მაშინ ქვეყანა სავსე იყო, და წლობით ნაამაგარს ქონებას გაუნიავებდა. სამართალი არსად იყო და ხსნა.

ამისთანა კაცი მფარველს ეძებდა და მფარველი კი ვინ იქნებოდა, თუ არა ის, ვინც ცხოვრების უკუღმართ პირობებმა სათავეში მოაქცია: მემამულე.

ამ მფარველობას ევროპაში კომენდაციას ეძახიან. ორნაირი კაცი ეძებს კომენდაციას: მამულიანი და უმამულო. მამულიანი კაცი ბატონს ერთგვარ პირობით შეეკვრებოდა, რაც ფიცითა თავდებოდა. ფიცის დარღვევა ძნელი იყო მაშინ. მამულიანი კაცი ჯარში გადიოდა, პირად სამსახურს უწევდა ბატონს. ამგვარი მფარველობის წესი ფეოდალური იყო.

უმამულო კაცი ხიზნათ შედიოდა. მამულის სარგებლობისათვის უცვლელ ხარჯს იხდიდა. გლეხისა და ბატონის ამგვარი ურთიერთობა მიწით განისაზღვრებოდა, როგორც ძველი რომის ემფიტევზისი. ამ მფარველობის წესს ცენზუალურს ეძახიან.

ეს წესი წარმოსდგა ცენზივიდან. საფრანგეთში ამგვარი გლეხი მემამულის სასარგებლოდ ხარჯს იხდიდა, რასაც ცენზივა ერქვა.

აქედან არის ის უფლება, რასაც ჩინშევიკებისა ჰქვიან. პოლონეთში ცენზივა ჯერ ჩენშივად და მერე ჩინშათ იცვალა. გაღატაკებული პოლონელი აზნაური (შლიახტი) სახლდებოდა მაგნატის (თავადის) მამულზე და ჩინშს იხდიდა.

ეს ჩინშევიკობაც უმამულო კაცის სხვის მამულით მფლობელობაა. ჩინშევიკს მფლობელობაზე უარის თქმა შეეძლო. ნება არა ჰქონდა ჩინში სხვისთვის გადაეცა. ეს წესი პოლონეთში 13—14 საუკუნიდან დამყარდა. ჩინში საიჯარო ფასი კი არა—გადასახადია. ჩინში უცვლელი იყო. რუსეთში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან მთავრობა ცდილობს მოსპოს პოლონეთში ეს ურთიერთობა.

რუსის ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, ვითომ რუსეთი თავისს განვითარებითა და ცხოვრებით ევროპას სრულებით არა ჰგავდეს.

ჩვენშიაც არიან ამგვარი ხალხი, რომელთაც საქართველოს წარსული ცხოვრება იმ გრძელი ჯაჭვის ერთ რგოლად კი არ წარმოუდგენიათ, რასაც მთელი კაცობრიობის ისტორია ეწოდება, არამედ რაღაც განცალკევებულ ამბად, ქვეყნიერების დუღილს დაშორებულსა და გამარტოებულად.

ეს მტკიცება ყალბი გამოდგა რუსეთში. ზევით ხომ ვთქვით, რომ უმამულო კაცი მფარველობას ეძებდა ძლიერ კაცისას. ამგვარ მფარველობას კომენდაცია ერქვაო. ამ კომენდაციის ნიმუში იყო რუსეთში ეგრედ წოდებული „ზაკლადნიჩესტვო“ (გირავნობა). ეხლა ამ სიტყვის მნიშვნელობა შეცვლილია. ეხლა გირავნობა ნივთისა შეიძლება, ისიც ვადით.

მაშინ გლეხი რუსის თავადთან (ბოიარინთან) მიდიოდა მფარველობის გამოსათხოვად. ის მფარველობდა, ეს კი სამაგიეროდ ხარჯს იხდიდა. ან და უმამულო გლეხი მიდიოდა თა-

*) იხ. „სახალ. გაზ.“ № 1175.

ბით. აუარებელი ხალხი ნაშუადღევის 4 საათამდე არ დაშლილა და ამ ხნის განმავლობაში დაუსრულებლად გაისმოდა მშვენიერი ქართული სიმღერები.

✦ **კავკასიის ტყეების დაცვა.** უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ კავკასიის ოლქებში და გუბერნიებში ტყეების დასაცავად დაწესებული იქმნას საგანგებო კომისია.

✦ **პირველმა მაისმა ტფილისში** მშვიდობიანად ჩაიარა. რამდენსამე ადგილას მუშათა გაფიცვა იყო.

✦ **ლექცია.** კვირას, 4 მაისს, ქართველ ქალთა საზოგადოება სახალხო სახლში ლექტორ ქალის ჩიტო შარაშიძის ლექციას ჰმართავს. ლექცია დაიწყება ნაშუადღევის პირველ საათზე.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ 30 აპრილს განიხილა 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 24,375 მან.

✦ **საინგილო.** დაწყებული აღდგომის პირველ დღეებიდგან თითქმის განუწყვეტლივ სწვიმს, საგრძნობლად აცივდა და მთებზედ ყველგან თოვლი დასდო ძალზედ. გაფოთლილი და უკვე საკმარისად გამოსულ ხეხილი ბევრი წაახდინა, მაგრამ ყველაზედ საგრძნობელი ზარალი მეაბრეშუმეობას მოუტანა, რადგანაც ფურცელი, მეტადრე უშვილო სულ ერთიან დასწვა და გაახმო. გარდა ამისა ვინც კი აჩქარდა და მთაში გარეკა ცხვარი,] სიცივეებმა და თოვლმა ბატკნები მთლად ამოუწყვიტა.

## ოდესა

✦ 25 აპრილს საღამოს აქ დააპატიმრეს ჟანდარმთა სამმართველოს განკარგულებით შვიდი სტუდენტი, სხვათა შორის სამი ქართველი: ხ. მიქელაძე, დ. ჩიკვაიძე და გრ. გეგელაშვილი. ყველას ბინა გაჩხრიკეს. დაპატიმრებულნი პირდაპირ ციხეში გაგზავნეს. ჩხრეკის დროს საგულისხმო არა აღმოუჩენიათ რა.

## ახალციხე

✦ ახალციხის მთავრობის პროგიმნაზიაში მიხაღები გამოცდა მოხდება როგორც უფროს და უმცროს მოსამზადებელ კლასებსა, ეგრეთვე 1, 2, 3 და 4 კლასებში, 17 მაისიდან და გაგრძელდება 23 მაისამდე.

✦ მომავალ სექტემბრიდან გაიხსნება მეხუთე კლასი. თუ მსურველები აღმოჩნდენ გახსნიან საანბანო კლასსაც.

## ქუთაისი

✦ ქუთაისის გუბერნატორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწე-

რილობის თანახმად, წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას 15 ივნისამდე წარუდგინოს სამ ცალად ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ვალი აქვს ამ ჟამად ქალაქს და რისთვისაა აღებული ეს ვალი.

# თავრიდის სასახლეში

**ობსტრუქციის გამოძახილი.** ჩხეიძემ ვენიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „აღტაცებულნი თქვენი უშიშარი ბრძოლით ხალხის წარმომადგენელთა სიტყვის თავისუფლებასა და უფლებისთვის, გიგზავნით გულითად სალამს რეიხსრატის გერმანელ ს. დ. ფრაქციის სახელით. ავსტრიის რეიხსრატის ს. დ. ფრაქციის დეპუტატები ადლერი, პერნერსტორფერი, ზეიცი“.

სახელმწიფო სათათბიროს წევრმა კერენსკიმ მისალმების დეპეშა მიიღო მოსკოვის ნოქრებისაგან.

სახელმწ. სათათბიროს 15 სხდომიდან გამორიცხულმა დეპუტატმა 70 დეპეშა მიიღეს საზოგადო ორგანიზაციებისაგან და უმაღლესი სასწავლებლებიდან პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ოდესისა, ვარშავისა, სარატოვისა, ტომსკისა და სხვ.

დეპუტ. ძიუბინსკიმ პეტერბურგელ 200 პედაგოგის ხელმოწერილი მისალმება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე კადეტთა პარტიისა, დემონსტრატიულად უგზავნიან მისალმების დეპეშებს ობსტრუქციონერებს და ამით პროტესტს აცხადებენ კადეტთა ფრაქციის სახ. სათათბიროში პოლიტიკის წინააღმდეგ.

კადეტების პროვინციელმა ორგანიზაციებმა, რომელთა წარმომადგენლებიც სახ. სათათბიროში კადეტთა ფრაქციის, მემარცხენე ნაწილს ემხრობიან, ცნობა მიიღეს, რომ წევრთა მესამედმა იმ სხდომაზე, სადაც ს. დ. და მშრომელთა ჯგუფის ობსტრუქციის მხარის დაჭერის საქმე ირჩეოდა, გამოსთქვა აზრი, მათ ჩვენც მხარი დავუჭიროთო.

# რა დარჩენია ქართველ მაჰმადიანებს მამა-პაპური?

ვინ არ იცის, რომ კობულეთ-აჭარა შეადგენდა ერთ უდიდეს ტერიტორიას საქართველოს სამეფოსას. ეს კუთხე, როგორც ისტორია და ძველი ნაშთი, ეხლაც აშკარათ დაადიდებს, იყო დრო შემკული ბუნებრივი და ხელოვნური შემოქმედებით, იყო ძვირფასი საუნჯე სალარო სწავლა-განათლებისა ამ მხარეში დაბადებულა და აღზრდილა საუკეთესო ქართველი მწიგნობარნი, მქადაგებელნი და მნათენი სწავლა განათლებისა. ამ ძველი მესხეთის მეოხებით სცნობდნენ საქართველოს როგორც განათლებულს და ძლიერ სამეფოს, საბერძნეთი, რომაელი, არაბნი და თვით ეგვიპტეც. ეს კუთხე იყო საქართველოს დიდება და მშვენება. ყოფილა დრო, რომ ამ კუთხეში მოსულან სწავლა განათლების მისაღებათ არა მარტო ქართლ-კახეთის მკვიდრნი, არამედ მოისწრაფოდნენ სხვა უცხო ტომიც. მაგრამ ეს საუცხოვო კუთხე და ბურჯი საქართველოს დიდებისა, ძარღვი საქართველოს სამეფოსი, მოულოდნელად შესწყდა და თითქმის სული განუტევა. ორასი წლის ბრძოლამ ველურ ხალხთან სულ გაანადგურა ❦ ყოველივე დიდება კუთხისა ედემის მზგავსი საქართველოს ნაჭერი სულ გავერანდა, ტაძრები და სასწავლებელი სულ დაინგრა, სწავლა-განათლება ჩაქრა. ასეთი უბედურმა შემთხვევამ მოსწყვიტა ადგილობრივი მკვიდრნი დედის უბიდგან და განგებამ მათ იღბალი არგუნა სხვა უცხო ტომს, რომლის მიზანი გახლავთ სულ სხვა არა ჩვეულებრივი, არა სანუგეშო ამ ქვეყნის. არა! მეგობრებო არ იფიქროთ, რომ მათი მამა-პაპები ადვილათ შეურიგდნენ იმ მოვლენას, ისინი სანამ ძალა და ღონე შესწევდათ ებრძოდნენ მტრებს და მოკლე ნაბიჯით უტოვებდნენ ბრძოლის ველს. მრთელი კუთხე კობულეთ-აჭარისა მორწყულია ქართველის სისხლით. მათი მამა პაპები წვალებულად მტრისაგან. ეს კუთხე და მისი ნაშთნი მოწამე არიან მისი. ეს ბრძოლა გახლადთ ხანგრძლივი და საგრძნობელი, რის შემდეგ დაკარგეს საუკეთესო განძი მათი ცხოვრებისა. მაგრამ, განგებას ასე დაუდგენია, რომ ხალხი მაშინ დაკარგავს თვისტომობას, როდესაც კარგავს დედა-ენას, მაგრამ ამათ კი ამ ვაი-ვაგლახში შეინარჩუნეს დედა ენა, რის მეოხებითაც ისევ გურჯებს უწოდებენ და არა ყიზილბაშებს და თურქებს. ბევრი რამ ძველთა ძველი უძვირფასესი ნივთნი ამ კუთხის დიდებისა, ძველებმა გაზიდა ქართლ-იმერეთში და ბევრიც აქ ჩაბარა დედამიწას და ამნაირათ შენახულა მომავალ თაობისათვის. ჩემის თვალით მინახავს გურიაში გაუტანიათ და დვაბზუს ეკლესიაში მოუთავსებიათ, ვარჯანულის წმინდა გიორგის ვერცხლის ხატი ზედ ქართული წარწერით ვარჯანულის წმინდის გიორგი. აქ ამ ხატის სახელობაზე ვარჯანელი (ვარჯანეთი სოფელია) მკვიდრნი ლოცულობენ და მიაქვთ შესაწირავი. სხვა ხატებიც ცევრია აქედან გადატანილი გურიაში და იმერეთში. ამნაირად შერჩა ხალხს დედა-ენა, ქართული სიმღერები გურულ კილოზე, ქართული წერა-კითხვა, მიწერ-მოწერა; აგრეთვე შერჩა ნათვლა, ქორწილი და ტირილი გურული ჩვეულებით, ნათლულობა და ერთძახეთში მიმოსვლა, ქართული ზნეჩვეულებით. შერჩა გურული ტანისამოსი და ჩაბალახი, ისე რომ გურულს ვერც გაარჩევთ კობულელ აჭარელისაგან. რადგანაც ამათ'ში ქალის გათხოვება-მოყვანა ძლიერ შემოსაზღვრული იყო, ასე რომ მაგალითი არ ყოფილა კობულეთ-აჭარას სხვა ტომის ქალი ცოლათ შეერთო და ამის მეოხებით ხალხიც არ გადაგვარებულა. კობულეთ-აჭარლები ნიძღვილი ტიპია ქართველი ხალხისა. მათ კიდევ შერჩენიათ ძველებური პატივისცემა ტაძრებისა და ხატებისადმი. მაგალითად, სოფელ ხითლში ან კობულეთის ხეობაში გახლავთ ივანე ნათლისმცემლის საყდრის ხანგრევები, სადაც სცხოვრობდა ხითლელი ქართველი მიტროპოლიტი. აი ამ ეკლესიის ხანგრევს ხალხი პატივით ეპყრობა, მიაქვთ შესაწირავად თაფლის სანთელი, ფული, მარილი და იქ ღმერთს ევედრება. დაბა კობულეთის მახლობლად არის ნანგრევი დიდებული ოქონის ეკლესიის, საჩებში საძების ეკლესიის, კვირიკეში წმინდა კვირიკის, ამ ეკლესიის ნანგრევებსაც ხალხი კრძალვით და პატივით ეპყრობა. მრავალი მაგალითი გახლდათ, რომ ადგილობრივი მღვდელი მიჰყავთ სოფელში ახალ დაბადებულ ბავშვებთან და ავადმყოფებთან სალოცავად. როდესაც მღვდელი ულოცავს დანიშნულებისამებრ ისინი დიდად კმაყოფილი რჩებიან. მე თითონ ვნახე ამ დღეებში ერთი მაჰმადიანი ქართველი აჭარელი მღვდელს ეძებდა ავად მყავს ბავშვი, მღვდელს უნდა მოვანათვლინო და სამშვიდობო ვაწირვინო, რისთვისაც მეც მთხოვა დამეხმარეო.

**ქ. ზალიკაშვილი.**

# წერილი კიევიდან

ქართველი სტუდენტობა გაიყოფებიან ორ ნაწილად: ერთ მათგანს მიზნადა აქვს როგორმე თავი დააღწიონ უმაღლეს სასწავლებელს და ამის მიხედვით მთელ დროსა და ძალას ანდომებენ განსაზღვრული საგნების შესწავლას, ხოლო მეორე ნაწილი არ კმაყოფილდება უმაღლეს სასწავლებლების საგნებს; უკანასკნელნი, სტუდენტების მეორე ნაწილი, ეწაფებიან იმასაც, რაც მათდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაჰკლებიათ; ისინი გულმოდგინედ ეწაფებიან საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას.

ყველამ კარგად ვიცით თუ რა მდგომარეობაში არის ქართული ენა კლასიკურ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში. აქ ან სულ არა აქვს ადგილი მას, ან ძალიან ცოტა და ისიც უხერხული დრო აქვს მიჩენილი. აქედან ადვილი გასაგებია, რომ ამ ცოტასა და უხერხულ დროს არ შეუძლიან შესძინოს მოსწავლე ახალგაზდობას ვრცელი წარმოდგენა ქართული ისტორიისა და ლიტერატურისა და რომლის ნაკლსაც მხოლოდ დღეს-და გრძნობენ; ადვილი გასაგებია ამის შემდეგ ისიც, თუ რად ეწაფებიან ასე გულმოდგინედ მის შესწავლას. სიამოვნებით აღსანიშნავია კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტების მუშაობა. აქ არსებობს ქართული სამეცნიერო წრე, რომელიც დაყოფილია სექციებად და რომელშიაც ყველანი კარგად მუშაობენ. აქ სახეში მყავს ერთი ჯგუფი, რომელმაც იდეალად დაისახა ზედ მიწევნით შესწავლა ყოველივე დარგისა: ლიტერატურისა, ისტორიისა, პუბლიცისტიკისა და სოციოლოგიისა, რათა აღიჭურვოს ცოდნით და შესძლოს ღირსეულად შესრულება თავისი წმინდა მოვალეობისა... დღეს დღეობით ამ ჯგუფმა აიღო ქართული ლიტერატურა; სულ ორი თვე გავიდა მას აქეთ, რაც ჯგუფი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში უკვე მოასწრო ოთხი რეფერატის წაკითხვა. უნდა შევნიშნო, რომ ჯგუფს ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ და სხვათა შორის სახელმძღვანელოების უქონლობაც. თორემ იმ სურვილით და ენერგიით, რომლითაც მას შეუდგა გაცილებით მეტს მოასწრებდა. ამ ხნის განმავლობაში გაარჩია სამი მწერლის ნაწარმოები: ჭალადიდელისა, ვახ. ორბელიანისა და გრ. ორბელიანის. რეფერენტის მოხსენების შემდეგ კამათი იმართებოდა.

პირველი მოხსენება წაიკითხა სტ. გაბიანმა ჭალადიდელის პოეზიაზე, რომელიც ფართოთ შეეხო მწერლის ბიოგრაფიას, სავსებით დაგვისურათა მისი პოეზია, მან აღნიშნა ნაკლი და დიდებითი მხარე, სინანული გამოსთქვა ჭალადიდელის ენის შეუმუშავებლობაზე. კამათი გაიმართა და ყველასათვის ნათელი გახდა გარჩეული მწერლის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში.

მეორე რეფერატი წაიკითხა სტ. გორგაძემ: „ვახტანგ ორბელიანი და მისი შემოქმედება“. მომხსენებელმა ნათლად დაგვისურათა ვახ. ორბელიანის პოეზია, აღნიშნა მისი ადგილი ქართულ ლიტერატურაში, როგორც საუკეთესო პოეტისა და როგორც მაუწყებელი რომანტიზმის დაცემისა, საძირკვლის ჩამყრელი ახალი მიმართულებისა ლიტერატურაში: ლირიკული რეალიზმისა; ხაზი გაუსვა პოეტის სამშობლოსადმი სიყვარულს; ბოლოს გამოსთქვა აზრი, რომ ვახ. ორბელიანის „იმედსა“ და ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილში“ დიდი ნათესაობა არსებობსო. უკანასკნელმა აზრმა გამოიწვია კამათი. ბოლოს ჯგუფმა გადასწყვიტა არ იქონიოს მსჯელობა ამის შესახებ ჯერ-ჯერობით და დაავალა ერთ თავის წევრთაგანს თავისუფლი აზრის გამოთქმა ნახსენებ ლექსთა შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც იქმნა წაკითხული რეფერატი, რომელშიაც სრული პარალელი იყო გატარებული „იმედსა“ და „აჩრდილის“ შორის; მომხსენებელმა აღნიშნა „იმედისა“ და „აჩრდილი“-ს იდეის მზგავსება. შეადარა თვით ტეხნიკური მხარე და ბოლოს განსხვავება დაინახა მხოლოდ ფორმაში. ესე იგი ხაზი გაუსვა აჩრდილის მხატვრულ მხარეს. ჯგუფმა კამათი იქონია საკითხის გადასაწყვეტათ და ბოლოს მიიღო მომხსენებლისაგან გამოთქმული აზრი.

უკანასკნელი მოხსენება წაიკითხა სტ. კვიტაშვილმა გრ. ორბელიანის პოეზიაზე. მომხსენებელმა სავსებით დაგვიხატა გრ. ორბელიანის პოეზია, ჯგუფმაც თაყვანი სცა გრ. ორბელიანს როგორც მწერალს და უარჰყო ის როგორც პოლიტიკოსი; გამოითქვა აზრი გრიგოლ ორბელიანის „მუშის“ გავლენის შესახებ ილია ჭავჭავაძის მუზაზე, რომლის თავისუფალი აზრის გამოთქმის სურვილი განაცხადა ჯგუფმა, მაგრამ აქ იძულებული გახდა, ჯგუფს შეეწყვიტა თავის ფუნქციები მომავალ შემოდგომამდის, გამოცდების მოახლოვების გამო.

თუმცა დღეს-დღეობით მეცადინეობა შესწყვიტა ჯგუფმა, მაგრამ ამავე დროს დაავალა წევრებს ზაფხულში კვლავ შეუდგეს მუშაობას. ამიტომ თავმჯდომარემ დაუნიშნა თვითეულ წევრს ორ-ორი თემა, რომლის შესრულებაც ყველამ აღუთქვა. თემები ეკუთვნის შემდეგ დარგებს: აკადემიურს, კულტურულს, ისტორიულს და სოციოლოგიურს. თუ როგორ შეასრულებენ წევრები თავიანთ ვალს და ან როგორ განავრძობენ დაწყებულ შრომას ამას მომავალი გვაჩვენებს.

დასასრულ დიდი მადლობის ღირსია ჯგუფის თავმჯდომარე სტუდ. გორგაძე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ამხანაგების ამ გვარ ლტოლვილებასა და მისგანვე ჯეროვანად გამხნევებულნი ამხანაგები გულმხურვალედ ეკიდებიან საქმეს.

**ს. ლეჟავა.**

# ხმა ახალციხიდან

(კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის საყურადღებოდ).

საქართველოდან მოწყვეტილი და მიყრუებული კუთხე—ძველი მესხეთი—ახალციხე და ჯავახეთი ისე მივიწყებულია ყველასაგან, მეტადრე საქართველოს წინაპირთაგან, რომ სრულიად არ ახსოვთ და არცა ფიქრობენ მის დაწინაურებაზე და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, თუ გაიხსენებენ, ისიც მაშინ, როდესაც ეროვნული რამ საიუბილეო დღესასწაული მოხდება ტფილისში; საქართველოს განმანათლებელი წინაპირები მიმართავენ ხოლმე ახალციხის წინაპირებს, რომ მესხებმაც მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ყოველი კუთხის ქართველებთან ერთად, რასაც მესხებიც დიდი თანაგრძნობით ეგებებიან ხოლმე ასეთს საიუბილეო დღესასწაულებსა. და თუ ჩვენს ქართველი ერის წინაპირებს მოწყალება, ან დიდი რამ ქონება დასარიგებელი და გასაყოფი ჰქონდეთ ქართველი ერისათვის, მაშინ კი ავიწყდებათ მესხები და არ გაახსენდებათ რომ მესხებსაც უნაწილონ რამე, როგორც სხვა კუთხის ქართველებს. ასეთი შავი ბედისანი არიან მესხი ქართველები.

„სახალხო გაზეთი“-ს ნომრებში ვკითხულობთ, რომ ქართველთა შორის არსდება სავაჭრო-სამრეწველო ბანკი აქციებით; თითო აქცია 250 მან., წინასწარ 26 მანეთის შეტანით და დანარჩენი ფული ორი ვადის განსაზღვრით.

ხელის მოწერა მიიღება თურმე, საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში. ბანკი გაიხსნება ტფილისში, განყოფილება ჯერ ბაქოში და შემდეგ სხვა ადგილებში.

ეს საქმე ვინ არ იცის, რომ დიდად სასარგებლოა თუ კი თავში მდგომნი არ უღალატებენ გულციობით.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალი დაწესებულება მკვიდრად მოიკიდებს ფეხს და წარმატების გზაზე დადგება, თუ კი ენერგია და თავგამოდებული შრომა ერთგულ-ერთსულოვნობით შეესისხლ-ხორცება მის გამგეობას და შიგ მომუშავე პირთა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს ყველა ქალაქ-დაბებში იღებს ხელის მოწერას და ახალციხესა და ჯავახეთში კი არა.

უეჭველად საორგანიზაციო კომიტეტმა ახალციხეშიაც უნდა გამოგზავნოს თავისი წესდებანი საქმის გასაცნობად და გამართოს ხელის მოწერაც, რომ მესხებსაც შეეძლოთ აქციების შეძენით ბანკში მონაწილენი შეიქნენ, ისე, როგორც საქართველოს ყოველი კუთხის შვილნი არიან მონაწილენი. ამისათვის ხელის მოწერის ვადაც აქ უნდა გააგრძელონ რამდენიმე კვირას, რომ მსურველებმა მოასწრონ ხელის მოწერა და არ დაჰკარგონ ამის უფლება.

მართალია, აქციების ფასი შეუძლო ხალხისათვის აუტანელია, მაგრამ არიან იმისთანებიც რომ შეიძლონ თითო აქციის შეძენა. იმედია, უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ ჩემ წერილს და ახალციხე-ჯავახეთშიაც გამართავენ ამის ხელმოწერას.

**მესხი ქ. გვარამაძე.**

# წერილი თელავიდან

პროვინციაში საქალაქო თვითმართველობის შემოღების შემდეგ თელავის მართვა-გამგეობა თავდაპირველად ერთ ჯგუფს ჩაუგდია ხელში და დღევანდლამდე ხელში აქვს შენარჩუნებული. თვისი ბატონობის შესანარჩუნებლად რა გზას ადგანან, როგორ იქცევიან და რა ზომებს ხმარობენ არჩევნებში ჩვენი მეზობლები, ეს ისედაც კარგად იციან ჩვენმა მკითხველებმა.

მხოლოდ ქალაქის გაუმჯობესობა და მის მცხოვრებთა კეთილდღეო-

---

თავდან, სახლდებოდა იმის მამულზე განსაზღვრულ ხარჯის გადახდით.

მთავარი (კნიაზ) ბოიარინს (თავადს) ზემოხსენებულ იმმუნიტეტს აძლევდა, ე. ი. სრულ დამოკიდებულებას შინაურ საქმეებში. მთავრის მოხელე თავადის მამულში ფეხს ვერ შესდგამდა. მთავარი მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან სისხლის საქმეს არჩევდა, მაგალითად სულის საქმეს. (იხ. კლიუჩევსკი. რუსეთის ისტორია ნაწ. I. გვ. 444—448) თქმა არ უნდა, ამგვარ უფლებით მოსილ თავადს არეულ სახელმწიფოში მფარველობის გაწევა შეეძლო.

რუსის მეცნიერი ნ. პ. სილვანსკი ამტკიცებს, რომ „ზაკლადნიჩესტვო“ ჰნიშნავდა ძლიერ კაცის მფარველობაში შესვლას და ერთნაირი იყო დასავლეთ ევროპის კომენდაციისაო. (იხ. მისი: ფეოდალიზმი ძველი რუსეთისა. პეტერბ. 1907 წ. გვ. 105.)

მაშასადამე ხიზნობა საქართველოში განსაკუთრებული მოვლენა არა ყოფილა. მფლობელობის მსგავსი წესი სხვაგანაც გვხვდება ცოტა რამის ცვლილებით.

ეს მსგავსება იმით კი არ არის გამოწვეული, ვითომ ერთი წესი მეორეზე გავლენას ახდენდეს, ერთი მეორეზე იყვეს დამოკიდებული.

შეიძლება რომის ემფიტევზისს მიზეზობრივი ნათესაობა ჰქონდეს კომენდაციასთან, მაგრამ რუსეთის „ზაკლადნიჩესტვოსა“ ან ჩვენ ხიზნობასთან შორს არის.

### III

ძველ საქართველოში, შორს რომ არ წავიდეთ, მე-12 საუკუნიდან მოყოლებული ორი ძალა იბრძოდა: მეფე და თავად-აზნაურობა. ამ ბრძოლით ისე არავინ იჩაგრებოდა, როგორც ხალხი.

მეფე ცდილობდა თავის უფლების გაძლიერებას საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის შეკავშირებით; თავად-აზნაურობა ამ უფლებას ედავებოდა და ზღუდავდა. მეფის უფლების დაქუცმაცებით თვით ჩვენი ქვეყანა ირღვეოდა და თვითეულდებოდა.

ეხლანდელი საზომით რომ ავიღოთ ეს გარემოება, სასურველიც იყო იმდენად, რამდენადაც მეფის, როგორც თვითმპყრობელისა და თვითნების ძალა შესუსტდებოდა, დაწვრილმანდებოდა ხალხის საკეთილდღეოთ მაგრამ, მაგრამც ის არის, თავად-აზნაურობა იმიტომ კი არ ებრძოდა მეფის უფლებას, ხალხს რამე ეშველოსო, პირიქით, ნება მოგვეცეს ეს ხალხი მარტო ჩვენ ვყვლიფოთ და ვკრიჭოთო.

ბაგრატ მეოთხის (1027—1072) დროს პირველი აჯანყება ხდება თავად-აზნაურობისა. მერე აქედან დრო არ გამოუშვიათ, რომ აჯანყება არ მოეხდინათ. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე მეორე ცოტა დროს არ ანდომებენ თავად-აზნაურობის დაურჩებას. რა წყალობა იყო ისეთი, მეფეს თავად-აზნაურებისთვის არ შეეთავაზოს, — მათი მომადლიერება მაინც ვერ შესძლეს. ზოგი გაათარხნეს კიდეც. ეხლანდელი თარხან-მოურავები იმ თავადის ჩამომავლები უნდა იყვნენ, რომელიც ჯერ მოურავი იყო, მერე გაათარხნეს (განთავისუფლეს) და სამოურავო სამფლობელოდ დაუმკვიდრეს.

მარტო ისა კმარა, გივი ამილახვარის ურჩობა რომ გავიხსენოთ ქართლში ერეკლე მეორის დროს და რაჭის ერისთვისა იმერეთში სოლომონ პირველის დროს.

როგორც ევროპაში ან რუსეთში ყოველივე წყალობა მეფისა თავადისადმი გაუბედურება იყო გლეხობისა, ისე საქართველოში აქლემის კოზაკივით მუდამ შუაში გლეხი იჭყლიტებოდა.

ზემოთ თვალი გადავავლეთ ყმის მდგომარეობას. ყმას ბატონზე საჩივარი დანაშაულად ეთვლებოდაო.

თუ ყმას საჩივარი დანაშაულად ეთვლებოდა თავისს ბატონზე, ერთი მითხარით, ხიზანს ვიღა აკოცებდა თვალებში ამნაირ საჩივრისთვის? არავინ. ამიტომ სიგელ-გუჯრებში ნაკლებად ვხვდებით ყმისა და ხიზნის საჩივარს. ხიზანი თავისუფალი დროებით იყო, ბოლოს და ბოლოს ყმად იქცეოდა. ან კი რა თავისუფლებაა ისევ სხვის შემაცქერლობა და ბრძანების მოლოდინი!

ბევრი ამტკიცებს, რაკი ვახტანგის კანონებში ხიზნების გამო არაფერი სწერია, ამიტომ ხიზნობა მიწით მფლობელობის უწყინარი წესი იყო, გლეხიც ბატონის მადლიერი, ორივესთვის სასარგებლო ამბავიო.

თუ მეტი გულ-ხმიერებით გავშინჯავთ ვახტანგის კანონებს და შინაარს დავაკვირდებით, 407 მუხლი ამბობს: მემამულეს ნება არა აქვს გლეხებს იმაზე მეტი გადასახადი და ხარჯი გადაახდევინოს, რაც განწესებულიაო. ეს მუხლი ხიზანთა გადასახადების უცვლელობასაც ადასტურებს. თუ მაგალითად ერთხელ დადგენილია ხიზნის გადასახადი, ვთქვათ დღიურზე ორი კოდი, ამ გადასახადს თავადი 407 მუხლის დაურღვევლად ვერ შესცვლიდა.

თუმცა ესე ბრძანებდა მეფე ვახტანგი, მაინც ხიზანს ვერც ის შველოდა, ვერც ჩვეულება და გადასახადი შეუმჩნევლად იცვლებოდა, რაიც ქვემოდ გამოჩნდება,

თუ ხიზნობის განწესების საქმე ცალკე არ არის მოთხრობილი ვახტანგის კანონებში, ამასაც თავის მიზეზი აქვს. ხიზნობა მე-18 საუკუნის დამდეგს, როცა კანონები ითხზებოდა ვახტანგისა, ისეთი მწვავე და თავსამტვრევი საკითხი როდი იყო, რომ კანონმდებელს განსაკუთრებითი მსჯელობა მიეცა. ხიზნის თავისუფლება დროებითი იყო, კუდმოკვეცილი, ხიზნობით თავადი თავისუფალ გლეხს ყმათ აგდებდა.

მე-18 საუკუნეში საქართველოში მეტად გავრცელდა ხიზნობა. კახეთში, სადაც ეხლა ხიზანი სანთლით არის საძებნელი, 1760 წელს მეფის მოხელეების აწერით 3,000 კომლი ყოფილა. (იხ. ა. ცაგარლის ახალი საბუთები საქარ. ისტორ. 18 საუკ. პეტერბ. 1883 წ.).

ხიზნობა უფრო გავრცელდა, რაც ტყვეობიდან დაბრუნებულ ყმის თავისუფლება მეფის მიერ დამტკიცდა ხელ-ახლად. „1765 წ. მე, მეფემ ერეკლემ, საქართველოს კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა, კარისკაცებმა და დიდებულთ დავადგინეთ: ტყვეობიდან დაბრუნებული ყმა თავისუფალია და სადაც უნდა იქ წავა“.

ომიანობისაგან და ჭირისგან რაკი ხალხი მეტად ზარალდებოდა (მაგალ. 1770 წლებში ტფილისსა და მის ახლო-ახლო ადგილებში შავი ჭირისგან 8,000 კომლი ამოწყდა), მეფე და თავადები სხვა მხარიდან იწვევდნენ ხალხს. „1767 წ. მეფის ბარათი ბერო მაჭავარიანს: „იმერეთიდან ქართლში გადმოსახლდი, როგორც მიიღო ეს ბრძანება მაშინვე გადმოსახლდი შენი ყმებითა და ხიზნებით. სადაც გინდა იცხოვრე, ქართლსა თუ კახეთში, ყველგან ადგილს მოგცემთ“.

აი ქვემოდ მოყვანილ სიგელიდანა სჩანს, რომ ხიზნობა თავადისთვის საზარალო საქმე კი არა, ძლიერ სასარგებლო ყოფილა. „1768 წ. რევაზ ამილახვარი ახალციხიდან გადმოსახლებულ ავეტიქას ამ სიგელს გაძლევ. შენ ჩვენ მიწაზე დასახლდი და მაშამ ქართლში სცხოვრობ, სხვაგან გადასახლების ნება არა გაქვს. უკეთუ ახალციხეში დაბრუნებას მოინდომებ, წინააღმდეგობას არ გაგიწევთ და ბორჯომის ხეობამდის ურემს გაშველებთ“.

თუ ხიზნიდან სარგებლობას არ მოელოდა ეს თავადი რევაზ ამილახვარი, ასე შეხვეწნის კილოთი არ გამოეხმაურებოდა. ხიზნისთვის კი რომ, მაინც და მაინც, დიდი გამორჩომა არაფერია, იქიდანაცა სჩანს, რომ დახატულია სურათი შეწუხებულ და იმედგაცრუებულ ხიზნის უკანვე, ახალციხეში, დაბრუნებისა.

**ივ. კარბელაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

ბაზე ზრუნვა სრულებით არ შედის მათ მოქმედების ფარგალში, ან კიდევ უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ჩვენს თემს სრულებით არ ეტყობა, რომ მას პატრონ-მზრუნველად ჰყავს მცხოვრებთა მიერ ამორჩეული ვითომ გულშემატკივარნი და ქალაქის მდგომარეობა იოტის ოდენადაც არ შეცვლილა მას შემდეგ, როცა მის საქმეებს სამაზრო ადმინისტრაცია განაგებდა. პირიქით, მაშინ ზოგიერთ საკითხებს მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ეხლა.

ქალაქს კი, როგორც წესია ჰყავდა და დღესაც ჰყავს ამორჩეული ხმოსნები, რომელნიც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთსულოვნათ მოქმედობენ თავიანთ მომავალ ადგილების გასამტკიცებლად.

მხოლოდ ეხლა, როცა მათი თავმოყვარეობა შეილახა, როცა ქალაქის მამასახლისმა ბ. თათუზოვმა მათ დაუკითხავად აუკრძალა სოფლის დუქანებს სანოვაგის შემოტანა ქალაქის ახალ ნაწილში და შორი ადგილი მიუჩინა მათ, რითაც ნახევარ თემი ისე დასტოვა და ეს ბ-ნ გუბერნატორსაც დაადასტურებინა, ჩვენმა ქალაქის მამებმა თვალები მოიფშვნიტეს და რვა მათგანმა საჩივარი გაგზავნა ბ. გუბერნატორთან მამასახლისის მოქმედებაზე. ზოგმა პროტესტის ნიშნად ხმოსნობას თავი დაანება.

მართლა და ამ ადგილას სანოვაგის გაყიდვის აკრძალვას არავითარი საპატიო მიზეზი არა აქვს და აკი ამისთვის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც მცხოვრებთა, ისე მოქალაქეთა შორის. ხმოსნებთა გარდა თვით მცხოვრებთაც გაუგზავნეს გუბერნატორს საჩივარი.

ისტორიას არ ახსოვს, რომ ხმოსნებს და მოურავს შორის რაიმე განხეთქილება მოფილიყოს, მაგრამ ეს წარმავალია. ახლა დრო, როცა არა თუ ეს ხმოსნები, არამედ ბევრი იმათგანი ვინც დღეს საჩივარსა ჰგზავნის, კვლავ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იმოქმედობენ და მოუხეშავი ძალით ბევრ გულშემატკივარს ქალაქის საკეთილდღეო მოღვაწეობის საშუალებას მოუსპობენ...

**დავიწყებული.**

# მიწერილი ამბები

**ს. ხეთა (ოდიში).** ადგილობრივ მკვიდრთ უკვე განიძრახეს აქ წიგნსაცავ სამკითხველოს დაარსება. ნებართვის ასაღებად მიმართავენ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ზუგდიდის განყოფილებას.

შავი ზღვის რკინის გზის სასადგურო ადგილის შესახებ ხეთელებს ერთმანეთთან დავა აუტყდათ. მთელი საზოგადოების უმრავლესობას უნდა სადგურის გაკეთება „ლარჩვაში", იმ ადგილას, სადაც სოფლის შუაგულია და უკვე არსებობს: სავაჟო და საქალებო სკოლები, სოფლის სამმართველო, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და თცზე მეტი სახელოსნო და სავაჭრო დუქნები. ადგილი თავისი მშვენიერი მდებარეობით განირჩევა ს. ხეთის სხვა კუთხეებისაგან და ყველას განსაკუთრებითი ყურადღებას იქცევს.

წინააღმდეგ ამისა საზოგადოების ერთი მცირე ჯგუფს, ზოგიერთ პირადი ინტერესების მიმდევარ პირთა შთაგონებით „სურვილი აქვს" სადგური გაკეთდეს სოფლის ბოლო ადგილს დ. ხობის მახლობლად მდინარე მუნჩიასთან.

თუ ეს უკანასკნელი ცდა გამართლდა, მთელი ხეთის საზოგადოება, გარდა იმ მცირედი ნაწილილისა, ნამეტან დასჯილი იქნება.

13 აპრილს საზოგადოებამ სოფლის ყრილობაზე უმრავლესობის ხმით აირჩია თავისი ვექილები: მილიციის პრაპორშიკი მიხეილ ვ. ქორთუა, აზ-ნი კალისტრატე ა. ამერანიშვილ—ძე კოჩახიძეები, ვლადიმერი ბ. ნაჭყებია, სპირიდონ გ. ხუბულავა, თევდორე ქირია, ვაჭარი თევდორე ბუკია, მიხა ი. ტურავა და ესტატე ბ. ლატარია. ამათ მიანდო იშუამდგომლოს რკინის გზის სამმართველოს წინაშე სადგურის აშენება სოფლის შუაგულ ადგილ „ლარჩვაში". ამ პირებმა სენაკიდან მოიწვიეს რკინის გზის დისტანციის უფროსი ინჟენერი ბ. კუნიცინი და დაწვრილებით ადგილობრივ გააცნეს ყველაფერი. ინჟენერმა მოიწონა სადგურ—ადგილის მდებარეობა.

**ტყეშელი.**

**ს. მეჯვრისხევი (ქართლი).** გული გტკივა, როდესაც სოფლის უსიამოვნო ამბებს იგებ, როდესაც სწავლის მხრივ წარმატებას მაგივრად სოფლად შეფერხებას ჰხედავ. ამ შეფერხების მიზეზები სხვა და სხვაა; ერთ მოვლენათა შორის უნდა ჩაითვალოს სკოლებში ქართულის არ მცოდნე მასწავლებლების დანიშვნა. ასეთი მოვლენა სატანჯველში აგდებს თვით მასწავლებლებსაც და ხალხსაც, რადგან მათ ერთი მეორესი არაფერი ესმით და არც ნაყოფი მოაქვთ. სხვათა შორის ეს ხდება ქართლს ს. მეჯვრისხევში, სადაც მე-4 წელიწადია დანიშნულია გამგედ ტომით ბერძენი, რომელმაც არ იცის ქართული ლაპარაკი. გლეხები და მასწავლებელი ერთმანეთს გაურბიან, რადგანაც ერთმანეთისა არა ესმით რა. და სწორედ აქ, არ სრულდება მასწავლებლის დანიშნულება, რომ ის უნდა იყვეს, მამა, დამრიგებელი და გლეხის ჭირ-ვარამის გამგები, შემწყობი. ვერც მოხდება ეს, რადგან მისსა და ხალხის შორის ხიდია ჩატეხილი და ეს ხიდი კი ენაა...

ამ მოვლენას რომ გავითვალისწინებ გულით ვწუხვარ. არ სწორედ ეხლა საჭიროებს საბრალო გლეხი სწავლა-განვითარებას, როდესაც მის სოფელში უკვე არსებობს ძალიან კარგად დაყენებული წვრილი კრედიტი, სადაც აუცილებლად საჭიროა, რომ შეგნებულმა, წერა-კითხვის მცოდნე გლეხმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სჯა-ბაასში და საქმის გადასაწყვეტ საკითხში, გაიცნოს წესდების ყოველი მუხლები და სხ. იქ სამკითხველოა, სააღათმყოფო, არსდება მომხმარებელთა საზოგადოება, რომელსაც მოკლე მომავალში გახსნიან. აღნიშნული კულტურული დაწესებულება და გლეხი კი წერა-კითხვის უცოდინარი! ჩემის აზრით დიდი დანაშაულობა ხდება, რომ არა ქართულის მცოდნე გამგეა ამ სოფელში და ნაყოფის მოტანის მაგივრად სკოლას უკან სვლა ეტყობა. აქამდის ამ სკოლაში მე 5 განყოფილებაც არსებობდა და გააუქმა თვითონ გამგემ, ბავშვების სიმცირის გამო. არ იფიქროთ რომ ს. მეჯვრისხეველ გლეხებს სწავლა-განათლება არ უნდათ! არა. ეს მოვლენა მიეწერება იმ გარემოებას, რომ მათ ასწავლის სკოლის გამგე, რომელმაც, როგორც ზემოთა ვთქვით ქართული ლაპარაკი არ იცის, ბავშვებს მისი არაფერი ესმით, და ანებებენ თავს სკოლას; (ვგონებ ესევე მოხდება ქართლის იმ ორ სოფელს, სადაც ახლად დაუნიშნიათ სხვა ეროვნების მასწავლებლები). ამ სამწუხარო მოვლენის გამო სკოლა ცარიელდება. არ ვიცი, ამ გარემოებას რად არ აქცევს ყურადღებას ან სოფელი, ან სკოლის უფროსები და ან თვითონ ბ. გამგე. მე დარწმუნებული ვარ, იგიც ზნეობრივად უნდა იტანჯებოდეს, რადგანაც სოფლისათვის საჭირო და სასარგებლო საქმე ფერხდება და წინსვლა არ ეტყობა.

ასეთივე მოვლენას ვხედავთ სკოლის გარეგნულ შენობას თუ მივაქცევთ ყურადღებას. სოფლად რომ შედიხართ თქვენს ყურადღებას იპყრობს კოპწიად მდგარი სკოლა და ეკლესია. ს. მეჯვრისხევში კი თქვენ ნახავთ მინგრეულ-მონგრეულ, უეზოვო სკოლის შენობას. მისი გვერდზე გადმოხრილი სამზარეულო ლუარსაბ თათქარიძის ჩალაურს მოგაგონებთ. ასეთი უსიამოვნო სანახავია გარედგან და არც თუ შიგ კეთდება რამე სანუგეშო.

საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ სკოლის საქმე სასურველად წავიდეს. ეს უნდა მოითხოვოს თვით ხალხმა, რადგანაც ნათქვამია: „თუ ბავშვი არ იტირებს პურს არ მისცემენო". სოფელმა თავისი გარემოება უნდა აუხსნას ვისაც ჯერ არს და მოითხოვოს ის, რაც თავისთვის საჭიროა. გარდა ამისა მოიკითხონ ს. ზერტის მამულის შემოსავალი, აზნაურების შვილების წლიური შესატანი სწავლის ფული, ყველა ეს ძალიან კარგადაც შეაკეთებს სკოლას და გაამშვენიერებს. უფრო კარგი იქნება ხალხმა დაარსოს სამზრუნველო სკოლისთვის, მოიწვიონ მზრუნველნი, რომ მათ მაინც იზრუნონ სკოლის ბედ-იღბალზედ. მოიკითხონ სკოლის ძველი და ახალი ქონება.

**მოკეთე.**

# რუსეთი

**ნ. ჩხეიძის საქმე.**

სათათბიროს ცნობებით, ნ. ჩხეიძის სამართალში მიცემის ინიციატივა გ. ზამისლოვსკის ეკუთვნის, რომელსაც ამ საგნის გამო ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა იუსტიციის მინისტრ შჩეგლოვიტოვთან. გამოირკვა, რომ კავკასიელ დეპუტატის გამორიცხვის კენჭის ყრის დროს 15 დეპუტატი ნაციონალისტი გამორიცხვის სასარგებლოდ ხმას მისცემენ მემარჯვენეებთან ერთად. სათათბიროში ამბობენ, რომ სახელმწიფო მდივანმა კრიჟანოვსკიმ დეპუტატებთან საუბრის დროს სთქვა: ეს საქმე თანდათან მინელდება და სერიოზულ გართულებას არ გამოიწვევსო.

**საპროტესტო გაფიცვები.**

**პეტერბურგი.** პეტერბურგში კვლავ გრძელდება მუშათა გაფიცვები სათათბიროდან მემარცხენე დეპუტატების გამორიცხვის გამო. დაიხურა პუტილოვის გემების ქარხანა. მუშათა უბნებში ჩხრეკა-დაპატიმრებაა.

**მოსკოვში** მექარხნეების და მრეწველთა საზოგადოების ცნობებით გაფიცვა 23 ალაგას იყო გაფიცული იყო სულ 10,000 მუშა.

# უცხოეთი

**მექსიკის ომი**

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან იუწყებიან, ვერაკრუცაში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის გამო მინისტრთა ბჭები დაიყო. სამხედრო მინისტრი გარნისონი დაბეჯითებით მოითხოვს ჯარის გაგზავნას, ბრაიანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ გენერალ ჯონსტონის რაზმის გაძლიერება მხოლოდ მდგომარეობას გაართულებს და შუამავალთა შორის უკმაყოფილებას გამოიწვევსო. გარისონი და სხვა მინისტრები ამბობდნენ, ვერაკრუცაში მყოფი ჯარი ცუდ მდგომარეობაში იქნება ჩავარდნილი იმ შემთხვევაში, რომ მას გარს შემოერტყას მექსიკელების ჯარებიო. პრეზიდენტი ვილსონი გარისონის აზრს მიემხრო და დაადგინეს ვერაკრუცაში გაიგზავნოს 60 ათას ჯარის კაცი, რომელთაგანაც 18000 ნავთსადგურს დაიცავს, სხვებს კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გადასხავენ ნაპირზე.

ვაშინგტონიდანატყობინებენ, რომ 26 აპრილს მექსიკელ ნავთსადგურში პუერტოში გერმანიის გემმა „კრონპრინცესა ცეცილიამ" ჰუერტასათვის მიიტანა აუარებელი იარაღი. რადგან ამ ნავთსადგურთან ახლო ამერიკელების გემები არ იმყოფება იარაღი თავისუფლად გადაზიდეს.

**ეპირელების მოძრაობა.**

ეპირელებმა ოთხი ზარბაზნით დაიჭირეს საუცხოვო პოზიციები კორიციდან სამხრეთისაკენ. ეტყობა ეპირელებს კორიცის აღება განუზრახავთ.

**ინგლისში.**

**ახალი პარტია.** შესდგა ახალი პოლიტიკური პარტია, რომელშიაც შედიან როგორც ლიბერალები ისე კონსერვატორებიც. ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ახალ პარტიას უკვე მიემხრო პარლამენტის 200 წევრი. პარტიის ერთად ერთ მუხლად ჯერ-ჯერობით ითვლება ინგლისის გარდაქმნა ფედერატიულ სახელმწიფოდ.

**ჰომრულის საკითხი.**

როგორც ირკვევა, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ჰომრული შეუცვლელად გაატაროს. ამასთანავე ერთად პარტიის ბელადები შეიმუშავებენ შეთანხმების გეგმას ულსტერის დროებით გამოყოფის შესახებ ირლანდიის პარლამენტის კომპეტენციიდან, სანამ ინგლისი ფედერატიულ სახელმწიფოდ არ იქმნება გარდაქმნილი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

30 აპრილი

**უცხოეთი.**

**ტოკიო.** საზღვაო მინისტრის მიერ მიღებულ გადამწყვეტმა ზომებმა ფლოტში მომხდარ ბოროტ-მოქმედების ბლმოსაფხვრელად ოკუმის კაბინეტის მდგომარეობა განამტკიცა და პალატის მიერ გემთაშენებად კრედიტის მიცემა უზრუნველჰყო.

**ათინი.** როგორც კორფუდგან იტყობინებიან, ეპირელებსა და საერთაშორისო საკონტროლო კომისიის წევრთა თათბირი კარგად მიმდინარეობს. გარეშე საქმეთა სამინისტროში საბერძნეთისა და სერბიის დელეგატთა კონფერენციაზე სალონიკის შესახებ კონვენციის საკითხის გამო შეთანხმება მოხდა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. პონსონბიმ ჰკითხა, აზრად ხომ არა აქვს ინგლისს შაჰის გვირგვინის თვის მოახლოვების გამო მოსთხოვეს რუსეთს, ჩრდილოეთ სპარსეთიდგან თავისი ექსპედიციური კორპუსი გაიყვანოს, რომ შაჰს შეეძლოს გვირგვინი იკურთხოს, როგორც ქვეყნის ნამდვილმა მმართველმა, რომლის ხელშეუხებლობა და სუვერენიტეტი სერიოზულად არ დაუმცირებიათ. ეკლინდმა უპასუხა, რუსის მთავრობა ამას წინადვე დაგვპირდა, რის დასამტკიცებლად მან ამას წინად ყაზვინიდგან 2600 კაცი გაიყვანა, 500 თავრიზიდგან, მაგრამ მთელი რუსის ჯარის გაყვანა ერთბაშად შეუძლებელია, რადგან შეიძლება იქაც ისევე არეულობა მოხდეს, როგორც ეს სამხრეთ სპარსეთში მოხდაო.

**ლონდონი.** დამატებითი არჩევნებზედ გრიმსბში არჩიეს უნიონისტი ტიკერი 8471 ხმით წინააღმდეგ 8193 ხმისა, რომელიც ლიბერალმა ბარისტერმა მიიღო. უნიონისტების უმრავლესობას უკანასკნელ არჩევნებთან შედარებით 420 ხმით დაუკლია. საარჩევნო პლატფორმის უმთავრესი საკითხი ჰომრული იყო.

**რომი.** მთავრობის დაპირების გამო სათამბაქო მონოპოლიის გაფიცულ მუშათა სააგიტაციო კომიტეტი შეეკითხა მუშებს, გინდათ თუ არა გაფიცვა მოვსპოთო. გაფიცვა სამი კვირა გრძელდება, გაფიცულია 18000 კაცი.

**ლონდონი.** სუფრაჟისტ აკსელს, რომელმაც 29 აპრილს გერკომერის სურათი გააფუჭა ექვსი თვით ციხე მიუსაჯეს.

**ოლდერშოტი.** ორი სამხედრო ბიპლანი ერთმანეთს დაეჯახა. ორთავენი დაიმსხვრა. ერთი ბიპლანის კაპიტანი ანდერსენი და მემანქანე დაიხოცნენ, მეორე ბიპლანისა პორუჩიკი ვილსონი მძიმედ დაიჭრა.

**ვერაკრუცი.** ტამპიკოდგან მოსულ გემის მგზავრები ამბობენ, ფედერალისტებმა 27 აპრილს დასტოვეს ტამპიკო, რომელიც კონსტიტუციონალისტებმა დაიჭირეს.

**რუსეთი.**

**ყაზანი.** თათრების ნაწილში ცეცხლი ოთხ უბანს მოედო. ბევრი ღარიბი ცის ქვეშ დარჩა.

**კიევი.** ფოსტის ორ მოხელეს რკინის გზის სადგურთან მყოფ საფოსტო განყოფილებიდგან ცენტრალურ კანტორაში მიჰქონდა კორესპოდენცია. გზაში მათ ამოიღეს 32220 მანეთი და მიიმალნენ.

**ლივადია.** ოფიციალურად. ოსმალეთის საგანგებო ელჩები სადარბაზოდ იყვნენ დიდს მთავრებთან. 30 აპრილს მათი გემი ზღვაში გავიდა.

**ყაზანი.** ღამის 1 საათზე თათრების ნაწილში ცეცხლი გაჩნდა, ორი უბნის იქით კიდევ გაჩნდა ცეცხლი, რომელიც 10 სახლს მოედო. სულ დაიწვა 86 სახლი.

**პეტერბურგი.** გზათა გამგეობის სამეურნეო განყოფილებასთან შედგენილ საუწყებათაშორისო კომისიის მუშაობა დაიწყო.

**მოსკოვი.** საერთო საერობო კრება დაიწყო. მონაწილეობას იღებს 28 გუბერნია. დაადგინეს გამართონ 15 ოქტომბერს საერობო ფინანსების შესახებ კრება, სადაც სამაზრო ერობის წარმომადგენელთაც მიიწვევენ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 4 მაისს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, პროვინციაში გამგზავრების წინ, ქართულ თეატრში დასდგამს „სამშობლოს".

**სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა.** დღეს, 2 მაისს ქ. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნი ნ. დავითაშვილის და ბ-ნი ქ. ყიფიანის მონაწილეობით ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" და ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით შარჟი „სიმართლე".

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ. ვანო მიხეილისძე ბარათაშვილს, რომელმაც კეთილი ინება და წელსაც გამოუწერა ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებლის მოწაფეებს საბავშო ჟურნალები: „ჯეჯილი" და „ნაკადული".

აგერ მეექვსე წელია რაც განაგრძობს პატივცემული ზემოდ მოხსენებული პირი ჟურნალების გამოწერას თავის ხარჯით, რაც დაუვიწყარი სახსოვარია პატარა მკითხველებისათვის.

მერევის ორ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი

**იაკობ გელაშვილი.**

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ. მიხეილ მურვანიშვილს, რომელმაც თავისი საფასით შემოავლო ღობე ჩემდამი რწმუნებულ ტიმოთ უბნის მონასტრის ეზოს და წყაროს.

მღვდელ-მონაზონი **პახომი.**

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ქ. თბილისში მოვაჭრე ძმებს მოსე და გიორგი ალექსის ძეთ ხელაშვილებს, რომელთაც გამოუწერეს ვაქირის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ამ წლის საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული".

ვაქირის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე მღ. ირ. **ცინცაძე.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

# მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან.**

**ტფილისიდან გადის:**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

**ბაქოსაკენ:** ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. შუადღ.; სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ. შუაღ.; ხაფოსტო № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

**ბათუმისაკენ:** ნარევ. № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; ხაფ. № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

**ბორჯომისაკენ:** სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

**მცხეთისაკენ:** საბაგარაკო № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; საბაგარაკო № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** ნარ. № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; ჩქარი № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; საფ. № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

**ბაქოდან:** ნარევი № 21,—2 საათ. 17 წ. შუადღ.; სამგზ.-საბარგ. № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; სამგზავ. № 7,— 1 ს. 42 წ. დღით, ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; საფ. № 3,—8 ს. 58 წ. დილ.

**ბორჯომიდან:** სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; სამგზავ. N 19/20,—7 ს. 25 დილ.

**მცხეთიდან:** საბაგ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; საბაგ. № 63,— 8 ს. 48 წ. საღ.

# ქალაქის საავადმყოფოები

მიხაილის—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **ბ. ა. გიდაშელი** (სტეპან ვერა-გალის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **ბ. ა. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ბ. მ. თუმანიშვილი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **ბ. ლ. კაკაბაშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27). |
| 8—9 | **ბ. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გოგინის ქ., № 23). |
| 10, 11—12 | **ბ. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935) |

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 ბ. [illegible] (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქ. ლანჩხაძე (სოლოლაკი, ამაღლების ქ., ტელ. 517).

5—6 ა. მ. ზუბალოვსკი (გრიბოედოვის ქ., 10, ტელ. 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათიშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5, 487).

10—12 გ. ა. მაისურაძე (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვატყობინებდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო პირობები არღვევენ, ცუდ საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ბერი მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მელიქის მოედანზე.

**ვასწავლი**

ქართულ

„სიმღერა-გალობას"

და ვამზადებ მომღერლებს დიდ გუნდისთვის, სამშ., პარასკ. 5—7, მუშებისათვის კვირაობით 3—5 ს., ავჭალ. ქუჩა, № 29. მიღება და ჩაწერა მოხ. კეჩხაძესთან. 1180

**დაბა კოჯორში**

გაიცემა სადგომი სახლი საწვრთნელისათვის თავისი მოწყობილობით, სატრაქტიროთ, საყასბოთ, პურის საცხობისათვის, აგრეთვე სადგომ ოთახებად 1, 2, 3, 4, 5. იკითხეთ: მიხეილის ქ. № 110, სახლის პატრონი ნაშუადღევის 4 საათიდან 6 საათამდე. 293

**ქიმ ნავასარდიანი**

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

[illegible] ძველი პირდაპირ,

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606" და „914"

11—12 ს. უფასო კონსულტაცია.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ა. ბეჟანოვი: 1—2 ს. [illegible] შინაგანი ავადმყ.

ზ. ა. მ. ბაბახანოვი: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.

ბ. ბ. ზეინალოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეკეტოვანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. გ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. გ. ტერ-[illegible] 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

ბ. გ. ბეკეტოვანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1071

ყველგან მოითხოვეთ

„ამაზონიონ"-ი,

უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა

ა. ე. ისააკიანცისა.

ეს ფხვიერი ყოვლად უვნებელია.

საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს.

ფასი 20 კ.

საწყობები: ძმ. ტერტეროვებისა სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 215

სორაპანის გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თხზულებანი

გიუ-დე მოპასანისა

ტომი 1, ფასი 1 მანეთი.

სრული სამზარეულო

შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40 კ.

მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, типографія Сорапанъ М. Гачечиладзе. 1161

თეგზის მრეწველნი

ძმ.

მეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე. 1081

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.